

**ტერმინებით გადმოცემული მსოფლალქმა
(ახალი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)
WORLDVIEW REFLECTED THROUGH TERMS
(ACCORDING TO NEW ETHNOGRAPHIC MATERIALS)**

დავით შავიანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

David Shavianidze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

The proposed article deals with ethnographic terminology such as **čuli kali** (a virgin), **švili kali** (female child), **adamiani** (a human being), and **švili** (a child). They are identically explained in dictionaries, various reference books and special literature. In addition to synonymy, the functionality and social capacity of terms under discussion are attested. In all regions of Georgia, a woman (**dedačaci**) whether married or unmarried, widowed or former target of abuse though innocent (those with clean flesh and spirit, and unblemished) was referred to as c’ul kaloba (virginity), and acknowledged as “a human, a noble one”.

The purpose of the proposed article is to revive the traditional Georgian worldview and social capacity reflected in the above-mentioned ethnographic terms as a given to be maintained.

The Georgian ethnopsychology and mentality fully internalized and further embraced the LORD God’s creation of a “suitable helper” for Adam as a way of life, of a woman who is a decent spouse living a pure, wholesome and loving life.

According to a currently widespread opinion, it is difficult to define “defloration”. With the introduction of differing approaches in the course of the last quarter of the previous century, a major part of ethnographic lexical units has been neglected.

Ethnohistoric analysis allows us to substantiate a tremendous role of an honoured “woman” / “daughter” in the family as well as in social life. The following has been established: 1) by maintaining her “human” nature, a woman, a spouse who is not a slave to her bodily desires allows man’s dignity and manliness to be uncompromised; 2) neglect and degradation of commonly acknowledged chastity and morality, and unfaithfulness towards **the father of the household / head of the household** and **the main head of the household** and the betrayal of **threshold** would be condemned by God and punished by a secular rule (that involved divorce).

Social importance of virginity maintained in an ethnographic mode of life was not a forced concept; The very national worldview and mindset of the Georgians should serve as a guiding principle for the present as well as the future.

საკვანძო სიტყვები: ეთნოგრაფიული ტერმინოლოგია, ეთნოგრაფიული ყოფა, ეთნოსტორიული კვლევა, დეფლორაცია.

Keywords: Ethnographic terminology, ethnographic mode of life, ethnographic research, defloration.

ტერმინები: **წული ქალი, შვილი ქალი, ადამიანი და შვილი** ლექსიკონებში, სხვადასხვა საცნობარო და სპეციალურ ლიტერატურაში იდენტურადაა ახსნილი: ქალიშვილობა - მდგომარეობა, ქალწულობა; შვილი - მკვიდრი ნაშობი ვაჟი და ქალია (ქეგლ 1962). ქალწული (—>ქალწულობა), ქალიშვილი (—>ქალიშვილობა). სინონიმურობასთან ერთად დასტურდება საანალიზო ტერმინთა ფუნქციურობა და სოციალური დატვირთვა. დაუოჯახებულ თუ დაოჯახებულ, ქვრივ და ძალადობის მსხვერპლ, მაგრამ უბიწო / „სულ-ხორციტ სუფთა, გაულანძღავ“ / „დედაკაცს“ საქართველოს ყველა კუთხეში „წულ ქალობას“ „გაუთქვამდნენ“, „ადამიანია, ღირსი შვილიაო“ - იტყოდნენ.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია თანამედროვეობის გასათვალისწინებელ მოცემულობად აღვადგინოთ ეთნოგრაფიული ტერმინებით: **წული ქალი, შვილი ქალი, ადამიანი და შვილი** გადმოცემული ტრადიციულ-ქართული აზროვნება-მსოფლადქმა, სოციალური დატვირთვა.

აღნიშნული, ტრადიციული მსოფლადქმა ბიბლიური სწავლების, მითოლოგიის, ქართულ ლიტერატურაში გადმოცემული რეალობის იდენტურია. მოსე წინასწარმეტყველი ადამიანის შექმნას ამგვარად აღწერს: მას შემდეგ, რაც მიწიერი არსებები შექმნა, „თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ. ...და შექმნა ღმერთმან კაცი იგი სახედ თვსად და ხატად ღმრთისა შექმნა იგი...“ (შესაქ. 1,26-27). ვფიქრობთ, რომ ეს საღვთო ბჭობა, რასაც სხვა მიწიერ არსებათა შესაქმნის დროს ადგილი არ ჰქონია, ნათლად მიანიშნებს მიწიერ სამყაროში ადამიანის განსაკუთრებულობასა და სრულყოფილებას; წმინდა წერილით სხეული სულის თანამგზავრი, მისი ორგანო და თანამშრომელიც კი უნდა იყოს. თავად სულზეა დამოკიდებული, დამდაბლდეს და სხეულის მონა გახდეს, თუ ნათელმოსილ სულს დაუქვემდებაროს მორჩილ-შემსრულებლად და თანაშემწედ ქცეული სხეული. სულის წყალობით შეიძლება სხეული უწმიდურებისა და სიბილწის ცოდვის ჭურჭელი შეიქნას, ან მასთან ერთად ღვთის განდიდების თანამონაწილე გახდეს (<http://www.orthodoxy.ge/gvtismetkveleba/pomazanski/8.htm>).

მაშასადამე, ქართულმა ეთნოფსიქოლოგიამ, მენტალობამ სრულად გაითავისა და ცხოვრების წესად გაიხადა უფალი ღმერთის მიერ ადამისთვის „შემწე“ და „შესაფერი“, წმინდა, ზნეობიან-სიყვარულიანი ცხოვრებით მცხოვრები, „პიროვნების აღმომჩენი“ (ტერმინი ეკუთვნის პროფ. ტარიელ ფუტყარაძეს), ღირსეული მეუღლე ქალის გაჩენის სინამდვილე. აღნიშნული დაადასტურა ქართულმა მითოლოგიამაც.

შდრ., ღვთისმშობლის სახეზე, სახლობის „გამამზიანებელი“, „ბურჯი, ცხოვრების საწაღმართოდ დამტრიალებელი შვილი ქალი“ მითოლოგიაში „ადგილის დედად“ (/ადგილის ღვთისმშობელი), მზის სიმბოლოდაა აღქმული.

ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა იტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულებში ჩაწერილი მასალები: „მთავარი ზნეობა იყო, შემდეგ მატერიალური კეთილდღეობა. ორთავეს გარანტი სახლობაში წულის სიწმინდე იყო“ (მთხრობელი: ლ. არაბული, შატილი, 2019); „მიწიერობა არ ნიშნავს საკუთარ კდემის დაკარგვას, ხორციელ ბიწიერებას (ჯ. მიქელაძე, სოფ. მახალაკიძეები, აჭარა, 2018); „სისპეტაკე, პატოსანი სინდისიანობა და არა ხორციით სიამოვნებაა ვარცლ-ბურჯის ქალობა (ტ. ავქოფაშვილი, სოფ. რატევიანი, ქვემო ქართლი, 2019); „ქალი მიწიერის სალოცავია თავის უბიწობით. სულიან-ხორციელი სისპეტაკით უნდა გამოირჩეოდეს წული ქალი“ (ყ. ხაიკაშვილი, ყაზბეგი, 2016); „მამის, გვარის, თემის შვილი ქალი მაშინ ხარ, როცა მანდილიანი, ანუ სინდისიანი და არა საკუთარი თავის სიამოვნებით მცხოვრები ხარ“ (ზ. ჭკადუა, სოფ. ლახამულა, სვანეთი, 2018); „ქალწულობა გულისხმობდა გენეტიკური მახასიათებლის შეუბღალავი ღირსებით, ხორციელადაც უბიწო ქალ შვილად/ადამიანად ცხოვრებას“ (ს. ხაჭაპურიძე, ქუთაისი, 2015); „სულიერ უბიწობას თუ ხორციელი სისპეტაკეც არ ახლავს, მაშინ მეუღლე ქალი არ ყოფილა უმანკო“ (მ. ბოჭორიშვილი, სოფ. ნაბოსლები, იმერეთი, 1997); „შვილობა, ქალწულობა სახელიანი, ხორცის არმიმდევარი დედაკაცობაა ადა-ბაბადან მოკიდებული“ (ხ. ღურჭუმელიძე, სოფ. ნასპერი, ლეჩხუმი, 2016); „გათხოვების შემდეგაც უბიწოდ ყოფნა ქალის ყველაზე დიდი შვილობაა“ (ლ. ბოჭორიშვილი, თელავი, 2015); „ხორცის ამყოლ, ხელიდან წასულ ქალს შეიძლება გაზრიალებული ქონდეს ოჯახი, მაგრამ ეს თვალის სანახავი იქნება მხოლოდ და არა ზნეობიანი ღვთის შვილობა“ (ა. კორძაძე, სოფ. ციხესულორი, იმერეთი, 2014); „ქალს ვნების აყოლა სცალია? ნებას, ვნებას აყოლილი ქალი არსებაა. ადამიანობა ფიზიკურობა არაა, წესია, ტრადიციაა, კდემია, ღირსებაა, სულ-ხორცის სიწმინდეა“ (ნ. სიჭინავა, სოფ. ახუთი, სამეგრელო, 2014); „წულობა ხორციელ სიამოვნებას არაყოლილი, ღირსეული დედობის კვალია, პირნათელიანობაა. შვილი ქალი მაშინ ხარ, როცა შენ დამკვიდრებას ხორციელ-ზნეობიანი პატოსანებით შეძლებ. ასეთი ქალობაა ხელოვნება“ (ვ. თვალჭრელიძე, სოფ. თხმორი, რაჭა, 2006); „ის, რაც გამოსწორებადად არ ითვლებოდა, შეგინებელი ხორციელებისკენ გახედვა, ნამუსახდილი ცხოვრება იყო“ (ანტ. გოლეტიანი, სოფ. ნაკურალეში, ლეჩხუმი, 2017); „ტრადიციებით ნასაზრდოები საზოგადოებისთვის ღირებულებები ძვირფასია, შესაბამისად ნებითვე დაცული. ამდენად, ყოფითი-კულტურული ცხოვრების შეცნობის პროცესში შეძენილი, სისპეტაკის თაობებით მოტანილი ხედვის შემნარჩუნებლად ქართულმა მენტალობამ უბიწო, „სახელგაუტეხელი“ წული, „ვარცლ-ბურჯის ქალი მიიჩნია“ (ზ. გვარამე, სოფ. კაზრეთი, ქვემო ქართლი, 2019).

დღეს გავრცელებული შეხედულებით: „ქალიშვილობის დაკარგვის“ განმარტება რთულია, ამიტომაც რეალურად შენზეა დამოკიდებული, თუ რას დაუჯერებ. ზოგიერთ ადამიანს საერთოდ არ აინტერესებს, რას ნიშნავს „ქალიშვილობა“. ნერვიულობა იმაზე, ქალიშვილი ხარ თუ არა, ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, თუ რას ფიქრობ შენს სექსუალურ გამოცდილებებზე. კითხე შენს თავს, ხარ თუ არა ბედნიერი შენი სექსუალური გამოცდილებით?“ (womensgaze.org.ge რა არის ქალიშვილობა).

მსგავსი და სხვა მიუღებელი მიდგომების შემოტანა-მიღების ფონზე, საუკუნის ბოლო მეოთხედის განმავლობაში ბევრ წეს-ტრადიციასთან ერთად ეთნოგრაფიული ლექსიკის დიდი ნაწილიც მივიწყებულ იქნა. აღნიშნული არის საფუძველი იმისა, რომ საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულებში კითხვის დაუსმელად გეუბნებიან აწმყოში თავისუფლების თავის სასარგებლოდ გაგების „საწუხარ სინამდვილეზე“ და გვახსენებენ, როგორი წესით ცხოვრებას ეძახდა ქართველობა „შვილ ქალობას“.

ეთნოისტორიული ანალიზი ყველა საფუძველს გვამღვეს დავასაბუთოთ ღირსებიანი „ხორციელს მიუყოლები დედაკაცის“ / „შვილ ქალის“ უდიდესი როლის შესახებ არა მხოლოდ სახლობაში, არამედ ქართულ საზოგადოებრივ ყოფაში. დგინდება, რომ „სუფთა და ზნეობიანი“ წული, მეუღლე ქალი¹ „ადამიანურობით“ უზრუნველყოფდა მამაკაცის „ქუდაწულად², „ქუდახურულად / ქუდოსნად“ ცხოვრებას; ბ. საზოგადოდ აღიარებული უბიწობა-ზნეობის, „მამის სახლობის / „თავისახლის“ და „მთავარი თავი სახლის“³, „ზღურბლის“ („კარნაკელა“, „კარნაგელა“⁴) ღალატი, დეგრადირება განისჯებოდა ღმერთისგან, თუმცა ისჯებოდა მიწიერი ცხოვრების წესითაც და მეუღლეს განიშორებდნენ. „მიწიერ მცხოვრებთაგანს არ ეპატიებოდა სულიერი და ხორციელი წაბილწვა. ქრისტიანი ქართველისთვის მთავარი იყო ზნემადლობა, მასთან უსუფთაო ხორციელება ვერ თავსდება. უნებურად ჩადენილს საკუთარივე ნებით ჩადენილ ცოდ-

¹ რა თქმა უნდა, აქაც ცნობილია დედის დეფლორაციული მდგომარება

² ქუდი - მამაკაცთა და ქალთა თავსაბურავი, ჩაცმულობის ატრიბუტი რიტუალური თავსამოსელია, რომელსაც „სინდის-ნამუსისა ჰქვია“. **ეთნოგრაფიული მასალა სვანეთიდან:** „სვანური ქუდი თავისუფალი თემის შემქმნელის „სინდისის ქუდია“; „სვანური ქუდი კომკთან და მაჩუბიან სახლთან ერთად არის ღირსებიანობის დასტური“ (მთხრობელები: შ. კვიციანი, თ. ლობჯანიძე, სოფ. ჟახუნდერი, ბეჩო, სვანეთი, 2013, 2015).

³ სვანეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით: „**მთავარი თავი სახლი**“ ქალისთვის ის სახლია, სადაც თავადაა „**მერბიელი**“ („დიასახლისი“)

⁴ კარნაგელა“ ეთნოგრაფიულ ყოფაში ერთგვარი საკრალური ადგილია. **ეთნოგრაფიული მასალა:** „ღირსებიან, უბიწო წულად ცხოვრების შემთხვევაში, ამის სახლში მისვლისას, ქალის ფერხთ ქვეშ ზღურბლი ქვემოთ იწევს“ (მთხრობელი: კლ. ცინდელიანი, სოფ. ნაკრა, სვანეთი, 2017); „ზღურბლი სუფთაა, ე.ი. ოჯახის ქალი სუფთა და ზნეობიანია“ (მთხრობელი: ი. მშვიდლობაძე, სოფ. ცხემლის ხიდი, გურია, 2017); „კარნაკელას“ სიწმინდე სულ-ხორციით სპეტაკ, წმინდა დიასახლისზე ჰკიდიაო“ (ნ. გვეტაძე, სოფ. ოკრიბა, ციხია, იმერეთი, 1995).

ვას იშვიათად ვინმე უმატებდა“ (მთხრობელი: თინა ქარქაშაძე, სოფ. ორპირი, იმერეთი, 1999). შდრ.: წმინდა იოანე ოქროპირის სწავლებით, „ქორწინება ღირსეული და სარეცელი უმწიკვლო იყოს ყველასი, ხოლო მემრუშეთა და მეძავთ ღმერთი განსჯის“; „უქორწინებელთა და ქვრივთა მიმართ კი ვიტყვი: თუ თავს ვერ შეიკავებენ, დაე, იქორწინონ, ვინაიდან ქორწინება სჯობს გახელებას“.

ქალწულობის რღვევის აკრძალვასთან დაკავშირებული მეცნიერული და დაკვირვებით მიღებული ხალხური ცოდნა. დღეს გავრცელებული მიდგომით, პარტნიორთან ცხოვრების სურვილის შეკავება უარყოფითად აისახება ადამიანის ფსიქიკაზე (<https://mkurnali.ge/daavadebebi-mkurnaloba/seqsologia/9861-ra-emartheba-qals-sqesobrivi-ckhovrebis-gareshe.html>); ირკვევა, რომ ქალწულობის რღვევის აკრძალვასთან დაკავშირებული მეცნიერული და ხალხური ცოდნის საფუძველი არის „პირველი მამრის ეფექტი“, ე.წ. „გენეტიკური ნაგავი“ (https://genius.ge/22784-genetikuri-nagavi/?fbclid=IwAR2SXD-PJ1lwOnGaJvqRlFy1Vc_QF3AwapdAqAYQroN5ULeBtOfYgThDYqWo).

ეთნოგრაფიული მასალა: „ბავშვი დიდწილად ემგვანება მას, ვისთანაც დედას პირველად ჰქონდა კავშირი. მე განათლებაც მაქვს შესაბამის საქმეში და თან ოთხას ორ ქალს უმშობიარია ჩემ ხელში“ (მთხრობელი: თ. ბიბილეიშვილი, სოფ. ორპირი, იმერეთი, 1995); „ბებია ქალის“ ნათქვამ, მსგავს გადმოცემებს ყვებიან სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში, ქართლში, ხევსურეთში, აჭარაში...

ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული ქალიშვილობა / ქალწულობის სოციალური დატვირთვა ქართველური მსოფლხედვის დასტური იყო და არა იძულება. საკუთარი ორიგინალური კულტურის შემქმნელ-მატარებელ ქართველთა ეროვნული ტრადიციები, მსოფლალქმა და აზროვნების წესი აწმყო-მომავლის სახელმძღვანელოდ უნდა გვექონდეს. ვფიქრობთ, რომ საანალიზო ტერმინთა ტრადიციულ-ქართული გაგებისა და სოციალური დატვირთვის შეხსენება-გათვალისწინების სურვილი, საჭიროება არ იქნება აღქმული ქალთა რომელიმე სახის მდგომარეობის აკრძალვად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: გლობალურ-კულტურული განვითარების თანამედროვე ეპოქაში ეროვნული იდენტიფიკაციის მახასიათებელ მთავარ ფაქტორად რჩება კულტურული სახე. ტრადიციულ-ქართული ნიშნები, შინაარსი რომ მივიწყებულ დაფენებად არ დარჩეს, საჭიროა ტერმინებით გადმოცემული, ქართული ცნობიერებით შექმნილი ხალხური ხედვის არმივიწყება, აღდგენა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ორბელიანი 1928: ორბელიანი ს.-ს., ქართული ლექსიკონი. პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით. ტფილისი, 1928.

ქეგლ 1962: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული. პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. VII, თბილისი, 1962.

ქეგლ 1964: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული. პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VIII. თბილისი, 1964.

ღლონტი 1984: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. თბილისი, 1984.

ჩუბინაშვილი 1887: ჩუბინაშვილი დ., ქართულ-რუსული ლექსიკონი. პეტერბურგი, 1887.

ეთნოგრაფიული მასალა: სხვადასხვა დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეთნოგრაფიულ ექსედიციების პერიოდში ჩვენ მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალა, ინახება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში).

<http://www.orthodoxy.ge/gvtismetkveleba/pomazanski/8.htm> დამოწმება:

12.10.2020.

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=55737> დამოწმება:

12.10.2020.

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=17&t=12275>

დამოწმება: 12.10.2020.

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=50&t=5842> დამოწმება:

12.10.2020.

<http://womensgaze.org.ge/%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/> დამოწმება: 12.10.2020.

<https://mkurnali.ge/daavadebebi-mkurnaloba/seqsologia/9861-ra-emartheba-gals-sqesobrivi-ckhovrebis-gareshe.html> დამოწმება: 12.10.2020.

https://genius.ge/22784-genetikuri-nagavi/?fbclid=IwAR2SXDPJ1wOnG-aJvqRIFyIVc_QF3AwapdAqAYQroN5ULeBtOfYgThDYqWo დამოწმება:

12.10.2020.